ცხადდება ფოტო-კონკურსი ახალგაზრდებისათვის! ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი "ENIGMMA" აცხადებს ფოტო-კონკურსს ახალგაზრდებისათვის საქართველოში, სახელწოდებით : **„საქართველო და ევროკავშირი - უფრო ახლოს ვიდრე გგონია?"**

თუ თქვენ...
... ხართ ან გრძნობთ თავს ახალგაზრდად
... ცხოვრობთ საქართველოში
... გიყვართ სურათების გადაღება
... გაინტერესებთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები
... და გსურთ დაჯილდოვდეთ პრიზით...

მაშინ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენს მიერ გადაღებული ფოტო ერთ-ერთი კატეგორიის გათვალისწინებით: **„აღმოაჩინე ევროკავშირი საქართველოში/ საქართველო ევრო-კავშირში"** (1) **„რა არ იცის ევროპამ საქართველოს შესახებ?"** (2) **და „მიგრაციის გამოცდილება"** (3) შემდეგ მისამართზე: enigmma-photo@icmpd.org.

ფოტოებთან ერთად, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ნამუშევრის სახელწოდება ელექტრონული გზავნილის სათაურში. აგრეთვე მოგვწერეთ თქვენს შესახებ! გთხოვთ მიუთითოთ სახელი, გვარი, ასაკი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, სად გადაიღეთ ფოტო, ფოტოს ისტორია და თქვენი მოკლე ბიოგრაფია. ფოტოებს შეაფასებენ სპეციალური ჟიურის წევრები. აგრეთვე, შესაძლებელი იქნება ელექტრონული ხმის მიცემა ჩვენი პროექტის ვებ-გვერდზე. მხარდაჭერისათვის, შეატყობინეთ თქვენს მეგობრებს! თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებულს საჩუქრად გადაეცემა პროფესიონალური ფოტოგრაფიის კურსი, ხოლო საუკეთესო 4 ფოტო გამოქვეყნდება ENIGMMA-ს 2015 წლის კალენდარში!

ფოტოების გამოგზავნის ბოლო ვადა არის **31 ოქტომბერი, 2014**; დასაჩუქრების ცერემონია კი გაიმართება **2014 წლის 16 ნოემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის კატეგორიებზე და სხვა დეტალებზე, ეწვიეთ პროექტის ვებ-გვერდს: www.enigmma.ge და იხილეთ 2014 წლის საინფორმაციო კამპანია.